

**სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის
პ რ ო გ რ ა მ ა
(2013წ.)**

I. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

სამეცნიერო პრობლემების აღწერა

**პრობლემა 1. საბაზრო ეკონომიკის სრულყოფის თეორიული პრობლემები
პოსტსაბჭოურ ქვეყნებში**

პრობლემის აქტუალობა. 20 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რეფორმები დაიწყო. ყველა ქვეყანაში მეტ-ნაკლები წარმატებით ჩამოყალიბდა საბაზრო სისტემა, რომელიც შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს. ამიტომ, საბაზრო ეკონომიკის სრულყოფის თეორიული პრობლემების კვლევას და მისი შედეგების დანერგვას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის, ვინაიდან საბაზრო სისტემის, მისი ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა ხელს უშლის ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას. აღნიშნული პრობლემების კვლევის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება მსოფლიო გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე, რომლის შედეგებს დღესაც ვიმკით.

პრობლემის მიზანი: სამეცნიერო ნაშრომის მიზანია პოსტსაბჭოური ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის სრულყოფის თეორიული პრობლემების დამუშავება და ამის საფუძველზე ამ ქვეყნების ეკონომიკური სისტემის გაუმჯობესების მიმართულებებისა და გზების შემუშავება.

შემსრულებელი: ეკონომიკური თეორიის განყოფილება.

ხელმძღვანელი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალფრედ კურატაშვილი.

თემები და შემსრულებლები:

- 1.1. ეკონომიკური სისტემის სრულყოფის თეორიული პრობლემები ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში (**ემდ, პროფ. ალფრედ კურატაშვილი**);
- 1.2. პოსტსაბჭოური ეკონომიკური სისტემის სრულყოფის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე (**ემდ, პროფ. მურმან კვარაცხელია**);
- 1.3. საქსპორტო პოტენციალის ზრდა – როგორც პოსტსაბჭოური ეკონომიკის სრულყოფის მნიშვნელოვანი მიმართულება (**აკად. დოქტორი რევაზ ჯავახიშვილი**);
- 1.4. საბაზრო ეკონომიკის სრულყოფის თეორიული პრობლემები ნობელის პრემიის ლაურეატების შრომებში (**აკად. დოქტორი ნატა დავლაშვიდი**).

**პრობლემა 2. ეკონომიკის პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების
პრობლემები საქართველოში**

პრობლემის აქტუალობა: საქართველოში ამჟამად ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა არაპროგრესულია, რის გამოც არაერთი ეკონომიკური მაჩვენებელი ძალიან არა-

სახარბიელოა (ექსპორტ-იმპორტის სალდო, სახელმწიფო საგარეო ვალი, სიღარიბის და უმუშევრობის დონე და ა.შ.). არასწორი დარგობრივი პოლიტიკის გამო შეწყდა ბევრი ისეთი დარგის ფუნქციონირება, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ აღნიშნული პარამეტრების გაუმჯობესებაში. შეზღუდული საფინანსო-საინვესტიციო რესურსები ხშირად არარაციონალურად გამოიყენებოდა. ამიტომ, აუცილებელია დარგობრივი სტრუქტურის განვითარების კოორდინაციაში დაშვებული შეცდომების გამოვლენა და სამეურნეო დარგების განვითარების ისეთი მიმართულებების დასახვა, რომლებიც თანდათანობით გააუმჯობესებენ ქვეყნის მაკროეკონომიკური და მოსახლეობის კეთილდღეობის ამსახველ პარამეტრებს. აქედან ჩანს დასახული პრობლემის კვლევის თავისდროულობა და აქტუალობა.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაში დაშვებული შეცდომების გამოვლენა და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შესაბამისი დასკვნების გაკეთება და პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების მიმართულებებისა და გზების დასახვა.

შემსრულებელი: სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება.

ხელმძღვანელი: სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილების გამგე, ემდ ვახტანგ ბურდული.

თემები და შემსრულებლები:

2.1. საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ნაკლოვანებები და მისი სრულყოფის გზები (ემდ ვახტანგ ბურდული);

2.2. სამშენებლო კომპლექსის პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების საკითხები (აკად. დოქტორი გიორგი ბრეგვაძე);

2.3. ტურიზმის მულტიპლიკაციური როლი ქვეყნის პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის განვითარებაში (აკად. დოქტორი ქეთინო ქველაძე).

პრობლემა 3: ბიზნესის განვითარების აქტუალური პრობლემები საქართველოში

პრობლემის აქტუალობა: გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური ზრდის ტემპების შენარჩუნება საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ეკონომიკური განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ ზრდის მდგრადობის უზრუნველყოფა ბევრად არის დამოკიდებული ბიზნესის განვითარებაზე. სწორედ ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლაზე არის ფოკუსირებული ნაშრომის პროექტი.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანს წარმოადგენს ბიზნესის განვითარების თავისებურებების გამოვლენა და ბიზნესის პერსპექტივების დასახვა საქართველოში. კერძოდ: ფირმებს შორის ურთიერთობებზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა; მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდის დინამიკის დეტერმინანტების განსაზღვრა; ბიზნესის საქმიანობაზე მოქმედი შიდა ფაქტორების გამოვლენა და სხვ.

შემსრულებელი: ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილება

ხელმძღვანელი: ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილების გამგე, ემდ, პროფ. გიორგი ბერულავა

თემები და შემსრულებლები:

- 3.1. ფირმათა შორის არაფორმალური ურთიერთობები და მათი გავლენა კომპანიების საქმიანობის შედეგებზე (ემდ., პროფ. გ. ბერულავა)
- 3.2. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში (აკად. დოქტორი, ე. კაკულია)
- 3.3. მმართველობითი კაპიტალის გავლენა ბიზნესის ტრანსფორმაციაზე საქართველოში (აკად. დოქტორი, მ. ცუცქერიძე)

პრობლემა 4. პოსტკომუნისტური საქართველოს მაკროეკონომიკური განვითარების ტენდენციები და ეტაპები

პრობლემის აქტუალობა: პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის მრავალწლიანი პერიოდის შემდეგ მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა საქართველოს ეკონომიკაში მაინც არაერთი გადაუჭრელი პრობლემა არსებობს (განვითარებელია საბაზრო ინფრასტრუქტურა, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა და სხვ), რაც, ობიექტურ მიზეზებთან ერთად, მთავრობების მიერ გატარებული არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის ბრალიც იყო. ამდენად, საქართველოში ეკონომიკური განვითარების ტენდენციებისა და ეტაპების ანალიზსა და შესაბამისი ღონისძიებების დასახვას დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია საქართველოში ეკონომიკის ტრანსფორმაციის მსვლელობაში წარმოშობილი ნაკლოვანებების გამოვლენა და ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების სწორი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება.

შემსრულებელი: მაკროეკონომიკის განყოფილება.

ხელმძღვანელი: მაკროეკონომიკის განყოფილების გამდე აკად. დოქტორი ნანული არევაძე.

თემები და შემსრულებლები:

- 4.1. ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური კანონზომიერებები საქართველოში (ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე);
- 4.2. მრეწველობის განვითარების პრობლემები საქართველოში (აკად. დოქტორი ნანული არევაძე);
- 4.3. დასაქმების პრობლემები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე (ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე, აკად. დოქტორი ნანა ბიბილაშვილი, მეც. თანამ. თემურ გოგოხია);
- 4.4. ინფლაციის მაკროეკონომიკური რეგულირების პრობლემები საქართველოში (მეც. თანამშრომელი ციციხო თეთრაული)

პრობლემა 5. საინვესტიციო გარემო და მისი გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში

პრობლემის აქტუალობა: საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობას თუ გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ საინვესტიციო გარემო ქვეყანაში ნაკლებად მიმზიდველია. ინვესტიციები, რომლებიც შემოდის საქართველოში ძირითა-

დად სამომხმარებლო სექტორის და არარეალური სექტორის განვითარებისკენაა მიმართული, რაც მათ არაეფექტიანს ხდის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა არც ინვესტორების დაცვის კუთხით გამოირჩევა, რაც კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია, ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში შიდა ინვესტიციები ძალიან მცირეა პირდაპირ ინვესტიციებთან შედარებით, ამიტომ მიმზიდველი ინვესტიციური გარემოს შექმნა ქვეყნისთვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება.

კვლევის მიზანი: კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოში საინვესტიციო გარემოს შესწავლა, ძირითადი ნაკლოვანებების გამოვლენა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების გზების დასახვა.

შემსრულებელი: ფინანსებისა და საბანკო საქმის განყოფილება.

ხელმძღვანელი: ფინანსებისა და საბანკო საქმის განყოფილების გამგე (აკად. დოქტორი თეა ლაზარაშვილი).

თემები და შემსრულებლები:

5.1. უცხოური ინვესტიციები და მისი მოზიდვის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში (აკად. დოქტორი თეა ლაზარაშვილი, მეც. თანამ. მედეა მელაშვილი).

5.2. შიდა ინვესტიციები და მისი მოზიდვის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში (აკად. დოქტორი თინათინ ქურდაძე).

პრობლემა 6: საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი და მისი ოპტიმიზაციის ძირითადი მიმართულებები

პრობლემის აქტუალობა: საქართველო მცირე ღია ეკონომიკურ სისტემაზე ორიენტირებული ქვეყანაა, გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, გეოპოლიტიკური უპირატესობები და გეოეკონომიკური თავისებურებები, თანამშრომლობს პარტნიორთა დივერსიფიცირებულ წრესთან და გამოირჩევა საგარეო ვაჭრობის მკვეთრად გამოკვეთილი პრიორიტეტებით. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში არსებითად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის საგარეო-სავაჭრო ბალანსის რაოდენობრივი და სტრუქტურული მაჩვენებლები. ექსპორტმა, იმპორტმა, წმინდა ექსპორტმა და საგარეო სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლებმა ახალი აქტუალობა შეიძინა. თუმცა სავაჭრო სალდო უარყოფითი რჩება. საგარეო ვაჭრობის განვითარების ორიენტირების შეფასება, ბოლო პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, უდავოდ აქტუალურია.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია დინამიკაში საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსის ანალიზი და ამის საფუძველზე, საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, ბალანსის ოპტიმიზაციის ამოცანიდან გამომდინარე.

შემსრულებელი: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილება.

ხელმძღვანელი: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილების გამგე აკად. დოქტორი იზა ნათელაური

თემები და შემსრულებლები:

- 6.1. საქართველოს საგარეო სავაჭრო საქმიანობის ოპტიმიზაციის ძირითადი მიმართულებები (აკად. დოქტორი იზა ნათელაური);
- 6.2. საგარეო ვაჭრობის ბალანსი საქართველოს მოსახლეობის დასაქმების მაქსიმიზაციის პირობებში (ემდ როლანდ სარჩიმელია);
- 6.3. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსის ადგილი და როლი საგამხდლო ბალანსის ანგარიშთა სისტემაში (აკად. დოქტორი ნუნუ ქისტაური);
- 6.4. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსის ანალიზი 2012 წელი (აკად. დოქტორი იზა ნათელაური, მეც. თანამ. თამარ თაფლაძე).

პრობლემა 7. წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში

პრობლემის აქტუალობა: წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე პრობლემაა ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში. მსოფლიო მოსახლეობისა და მეურნეობის ზრდასთან ერთად, სწრაფი ტემპით იზრდება წყლის მოხმარებაც. მტკნარი წყლის დეფიციტი უკვე მსოფლიო პრობლემა ხდება. წყლის რესურსებზე სულ უფრო მზარდი მოთხოვნები აიძულებს ქვეყნებს გამონახონ სხვადასხვა საშუალებები ამ პრობლემის გადასაჭრელად. საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით, თუმცა როგორც მინერალური, ისე მტკნარი წყლის მარაგები არ გამოიყენება ოპტიმალურად. სერიოზული პრობლემებია წყლის რესურსების დაცვის სფეროშიც. ექსპერტების შეფასებები და სხვადასხვა კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ წყლის რესურსების გაჭუჭყიანების მასშტაბები სახიფათო ზღვარს აღწევს. ამჟამად წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის სფეროში ჩვენს ქვეყანაში დაგროვებულია გარკვეული გამოცდილება. თუმცა უნდა ითქვას, რომ პრობლემა ბოლომდე არ არის შესწავლილი და შესაბამისად, არც მისი გადაჭრის გზებია განსაზღვრული. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე პრობლემის აქტუალობა უდავოა.

კვლევის მიზანი: ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის პრობლემების ანალიზი, შეფასება და მისი გადაჭრის გზებისა და მიმართულებების განსაზღვრა.

შემსრულებელი: ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება
ხელმძღვანელი: ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილების გამგე, აკად. დოქტორი მამუკა ხუსკივაძე.

თემები და შემსრულებლები:

- 7.1. წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში (აკად. დოქტორი მამუკა ხუსკივაძე, მეც. თანამშრომელი ზურა ნოზაძე);

7.2. წყლის რესურსების დაცვის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში (პროფ. თინა ჩხეიძე, მეც. თანამშრომელი ღია დგალიშილი).

პრობლემა 8. აგრარული რეფორმა და სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემები საქართველოში

თემის აქტუალობა: აგრარულ სექტორში განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა, რომელიც თავის დროზე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფინანსური ჯგუფების მიერ წარმატებულად იქნა მიჩნეული, ადეკვატური შედეგი ვერ გამოიღო სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირებისა და მხარდაჭერის იმ პოლიტიკის უგულვებლყოფის გამო, რომელსაც დღეს მოდერნიზებული ფორმით წარმატებით იყენებენ განვითარებული ქვეყნები.

საქართველოში განხორციელებული აგრარული რეფორმების პირველ ეტაპზე აშკარა იყო პროცესების სტიქიურად განვითარების ტენდენცია. ასეთ ვითარებაში ხშირად იგნორირებული იყო ქვეყნის ისტორიული, ეთნიკური, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური, სოციალ-ფსიქოლოგიური, ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებები და საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული წარმოების ტრადიციები. ყოველივე ეს მწვავედ აისახა ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის დონეზე.

სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, სოფლად ინსტიტუციური და სტრუქტურული რეფორმების განხორციელებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისა და რეფორმის შედეგების სწორად შეფასებას. რათა შესაძლებელი გახდეს ქვეყნის აგრარული სექტორის საბაზრო ეკონომიკის პირობებში განვითარების სწორი ორიენტირების დასახვა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე გამოკვლევა, რომელიც ამ პრობლემას ეძღვნება. მეტად აქტუალურია და ეხმაურება სადღეისო მოთხოვნებს.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრინციპებსა და მოტივებზე დაყრდნობით და მიზნობრივი კომპლექსური გამოკვლევების საფუძველზე გაანალიზდეს საქართველოში აგრარული რეფორმებისა და სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემების გადაწყვეტის მიმდინარეობის შედეგები, განისაზღვროს მისი პერსპექტიული ორიენტირები და ოპტიმალური ეკონომიკური პარამეტრები.

შემსრულებელი: სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება.

ხელმძღვანელი: სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილების გამგე, ემდ ვახტანგ ბურდული.

თანახელმძღვანელი: აგროწარმოების ლაბორატორიის გამგე, აკად. დოქტორი **თენგიზ ქავთარაძე**.

თემები და შემსრულებლები:

- 8.1. აგრარული რეფორმა და მეცხვარეობის განვითარების პრობლემები საქართველოში (აკად. დოქტორი **თენგიზ ქავთარაძე**);
- 8.2. სასურსათო უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში (აკად. დოქტორი ღინა დათუნაშილი);

8.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის საირიგაციო პოლიტიკის აქტუალური საკითხები (აკად. დოქტორი ზურა რევიშვილი).

II. სამეცნიერო-ენციკლოპედიური საქმიანობა

პროექტი: „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედია“

პროექტის აქტუალობა: ქვეყნის სულიერი და კულტურული განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ დარგის ენციკლოპედიის შექმნას, ვინაიდან იგი ფლობს მეცნიერულ და საგანმანათლებლო ღირებულებებს. მეცნიერულს იმდენად, რამდენადაც მასში ასახულია ბევრი ახალი სამეცნიერო მასალა, ცნობილი კი - განვითარებული და დაზუსტებული, საგანმანათლებლოს - იმდენად, რამდენადაც იგი შეიცავს შედარებით სრულყოფილ ინფორმაციას მოცემული დარგის შესახებ, რომლის გამოყენება ემსახურება ადამიანის ცოდნის ამაღლებას.

ეკონომიკა ადამიანური საქმიანობის ისეთი სფეროა, რომელთანაც ყოველდღიური შეხება აქვს ნებისმიერ ადამიანს, ხოლო რაც უფრო გარკვეულია იგი ეკონომიკურ საკითხებში, მით უფრო რაციონალურ გადაწყვეტილებას მიიღებს ეკონომიკური ქმედებების (ყიდვა, გაყიდვა, დანაზოგის გაკეთება, ინვესტიციის გაწევა და მრავალი სხვა) განხორციელებისას. ეკონომიკური ენციკლოპედიის არსებობა კი ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა თითოეულმა ადამიანმა მიიღოს ზოგადი განათლება მისთვის ესოდენ საჭირო საკითხებში.

საქართველოში ენციკლოპედიურ და ლექსიკოგრაფიულ საქმიანობას დიდი ხნის ისტორია აქვს. საკმარისია გავიხსენოთ სულხან-საბა ორბელიანის „ქართული განმარტებითი ლექსიკონი“, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ და სხვ. ასევე საქართველო არ არის ღარიბი სხვადასხვა სახის დარგობრივი ლექსიკონებითა თუ ენციკლოპედიებით, ეკონომიკის სფეროშიდაც არსებობს ძირითადად ლექსიკოგრაფიული ხასიათის გამოცემები (მათ შორის აღსანიშნავია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის რედაქციით გამოცემული „ტერმინოლოგიური ლექსიკონი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლეო ჩიქავას ქართულ-რუსული „ეკონომიკური ლექსიკონი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ავთანდილ სილაგამის რედაქტორობით გამოცემული „ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, პროფესორ როზეტა ასათიანის „ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი“ და სხვ.). მაგრამ წმინდა ენციკლოპედიური ხასიათის სრულყოფილი გამოცემა ამ სფეროში არ არსებობს. ამდენად, „დიდი ქართული ენციკლოპედიის“ შექმნასა და გამოცემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

პროექტის მიზანი: პროექტის მიზანია სრულყოფილი ქართული ენციკლოპედიის მომზადება და გამოცემა ეკონომიკური მეცნიერების დარგში, რომელიც დიდ წვლილს შეიტანს ქვეყნის სამეცნიერო, სულიერი და კულტურული განვითარების საქმეში.

პროექტის 2013 წლის სამუშაო თემატიკა: ენციკლოპედიის პირველი ტომის მომზადება (ანი-დან თანი-მდე).

პროექტის განხორციელების მიმართულებები: ეკონომიკური თეორია; ეკონომიკური აზრის ისტორია (მათ შორის საქართველოს ეკონომიკური აზრის ისტორია); ეკონომიკის ისტორია (მათ შორის საქართველოს ეკონომიკის ისტორია); მსოფლიო ეკონომიკა; საქართველოს ეკონომიკა; მაკროეკონომიკური თეორია; ეკონომიკური განვითარების თეორია; სექტორული ეკონომიკა (დარგების ეკონომიკა); რეგიონული ეკონომიკა; მეწარმეობა; მაკროეკონომიკა; ფირმები; ბიზნესმენები; საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობები; ინოვაციები; ინვესტიციები; საჯარო ეკონომიკა; საგადასახადო სისტემა; სახელმწიფო საწარმოები; სოციალური ეკონომიკა; ბუნებათსარგებლობა და ბუნების დაცვის ეკონომიკა; მდგრადი ეკონომიკური განვითარება; სოფლის ეკონომიკა; ეკონომიკური ტერმინოლოგია; მსოფლიოსა და საქართველოს გამოჩენილი ეკონომისტები და ბიზნესმენები; წარჩინებული ფირმები.

შემსრულებლები: ინსტიტუტის სამეცნიერო ერთეულები, ტერმინოლოგიისა და ბიზნესის ჯგუფი, ინსტიტუტის გამომცემლობა. პროექტის განხორციელების დროს, საჭიროების შემთხვევაში მოწვეული იქნებიან შესაბამისი სფეროს სპეციალისტები.

ხელმძღვანელი: ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე

III. სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა

1. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ორგანიზება
2. წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება
3. მონაწილეობის მიღება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში და სამეცნიერო კადრების მომზადებაში
4. სამეცნიერო მონოგრაფიების გამოქვეყნება
5. სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება
6. სამეცნიერო-ანალიტიკური სტატიების გამოქვეყნება
7. სამეცნიერო საგრანტო პროექტების წარდგენა
8. სამეცნიერო ჟურნალების გამოცემა
9. ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის მე-6 ტომის გამოცემა
10. სამეცნიერო, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკონსულტაციო-საექსპერტო სამუშაოების ორგანიზება როგორც ზემდგომი ორგანოების, ასევე, ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის
11. არაფორმალური სწავლების განხორციელება
12. საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობების განვითარება
13. დისკუსიების, სემინარების ორგანიზება

IV. პროგრამის განხორციელების გზები:

პროგრამის განხორციელების გზებს შეიძლება ძირითადად მიეკუთვნოს:

– შესასწავლი საკითხების კვლევის დროს ძირითად ამოსავალ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლად ეკონომიკური აზრის კლასიკოსთა, გამოჩენილ უცხოელ და ქართველ მეცნიერთა ნაშრომების გამოყენება;

- შესასწავლი საკითხების ირგვლივ მსოფლიოში, მათ შორის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით საქართველოში, ამჟამად დაგროვებული გამოცდილების გაცნობა, გაანალიზება, განზოგადება, ანალოგიების შექმნა, მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის საჭირო გზების ძიება და გამოყენება;
- კვლევის დროს პოსტკომუნისტური ქვეყნების, კერძოდ საქართველოს სახელისუფლებო, საკანონმდებლო, სამთავრობო და სხვა ხელმძღვანელ ორგანოთა ოფიციალური დადგენილებების, კანონების, ნორმატიული აქტებისა და სხვა დოკუმენტების ძირითად მოთხოვნათა გათვალისწინება;
- კვლევის დროს შესასწავლი საკითხების შესახებ ამჟამად არსებული ყველა ძირითადი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების, აგრეთვე სამეცნიერო სიმპოზიუმების, კონფერენციებისა და სემინარების მასალების გამოყენება;
- კვლევის დროს ანალიზის, სინთეზის, შედარების, ინდუქციის, დედუქციის, ეკონომიკური და მათემატიკური სტატისტიკის, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირებისა და ანალიზის, პროგნოზირებისა (სახელდობრ საექსპერტო შეფასებების, სცენარების და ა.შ.) და სხვა მეთოდების გამოყენება;
- სპეციალური სამეცნიერო კავშირების დამყარება შესასწავლი საკითხების მკვლევარ სამეცნიერო ინსტიტუტებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან.

V. სამეცნიერო გეგმის შეფასება და მონიტორინგის მექანიზმები:

პროგრამის შედეგების შუალედური შეფასებები მოხდება ინსტიტუტის განყოფილებათა მიერ სამ თვეში ერთხელ, დირექციის წარმომადგენლის თანდასწრებით. პროგრამის მიმდინარეობის ნახევარი წლის შედეგები განყოფილებათა გამგეების მიერ მოხსენდება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს. პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით პროექტის კოორდინატორთან თვეში ერთხელ ჩატარდება სამეცნიერო თათბირი. ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება პროგრამაში შევიდეს შესწორებები, რაზედაც ეცნობება უნივერსიტეტს.

პროგრამის შეფასება მოხდება ჯერ ინსტიტუტის განყოფილებების, ხოლო შემდეგ კი სამეცნიერო საბჭოს მიერ. სამეცნიერო საბჭოზე დასრულებული ნაშრომების შესახებ მოხსენებებს გააკეთებენ განყოფილებათა ხელმძღვანელები. ნაშრომთა პრეზენტაცია მოხდება ასევე ინსტიტუტის სადისკუსიო დარბაზის სხდომაზე.

ნაშრომთა წარმოდგენა ხდება ძირითადად ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკურ ჟურნალში და შრომათა კრებულში დაბეჭდილი პუბლიკაციის სახით. ნაშრომი დაბეჭდვის წინ გაივლის რეცენზირებას. უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში ავტორს მიეცემა დრო ხარვეზების გამოსასწორებლად. განმეორებით უარყოფითი შეფასებისას საკითხს ნაშრომის ვარგისიანობის შესახებ წყვეტს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, შესაბამისი განყოფილების შუამდგომლობის საფუძველზე.

პროგრამის მონიტორინგს ატარებს ინსტიტუტის დირექცია, რომელიც პერიოდულად შეამოწმებს შუალედური და საბოლოო შეფასებების ჩატარების თანდართულობას და სისწორეს.

სამეცნიერო-ორგანიზაციული გეგმის კოორდინატორი – ინსტიტუტის დირექტორი, **ემდ, პროფ., რამაზ აბესაძე**. ტ.: სამ. 299.07.02, ბინ. 252.39.65, მობ.551 100 705. ელ. ფოსტა: ramazabesadze@yahoo.com